№ 186 მთავრობის მოამბე

# საქართველოს რესპუბლიკა

ყოველდღიური გაზეთი. წელიწადი მეორე

ფასი 1 მანეთი. პარასკევი 22 აგვისტო 1919 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
„საქართველოს რესპუბლიკა"
მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის. ხელის მოწერის ფასი ერთი წლით 220 მ., ნახევარი წლ. 110 მ., 1 თვით 20 მ., ცალკე № ყველგან 1 მან. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით. კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 ს. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82

## ოფიციალური განყოფილება.

## კანონი

**გზათა დეპარტამენტის შტატისა და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცებისა.**

1. ნაცვლად გზათა სამინისტროს დროებით არსებულ შტატისა დამტკიცებულ იქნეს გზათა დეპარტამენტის შტატი, რომელიც ამ კანონს ცალკე დამატებად აქვს დართული.

2. პირველ მუხლში აღნიშნულ გზათა დეპარტამენტის ცენტრალ ორგანოს შესანახად გაღებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან ამა 1919 წლის მაისის 1-დან ყოველთვიურად ორმოცდაერთი ათას ცხრაასი (41.900) მან. და ეს თვიური ხარჯი გზათა დეპარტამენტის შტატისა შეტანილ იქნეს საერთო ხარჯთაღრიცხვაში.

1919 წ. აგვისტოს 1-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

**ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე

**ევგ. გეგეჭკორი.**

## გზათა დეპარტამენტის
## ცენტრალ ორგანოს შტატი.

| №№ რიგზე. | თანამდებობა. | პირთა რიცხვი. | კატეგორია ან ხარისხი. | თვიური ძირითადი ჯამაგირი თითოს. | თვიური დროებითი დამატებითი ჯამაგირი თითოს. | სულ თვიურად თითოს. | ყველას თვიურად. | შენიშვნა. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დეპარტამენტის დირექტორი . . | 1 | — | — | — | 3000 | 3000 | ხარისხი იწერება რომაული ციფრით, ხოლო კატეგორია არაბულით. ხარისხი და კატეგორია სრულიად ეთანხმება ხაზინის რკინის გზებზე მიღებულ მოსამსახურეთა განაწილებას. |
| 2 | ინსპექტორი . . . . . . . . . | 1 | X | 1150 | 862 50 | 2012 50 | 2012 50 | უმაღლ. ტეხნ. განათლებ. |
| | **კანცელარია.** | | | | | | | |
| 3 | კანცელარიის მმართველი . . . . | 1 | X | 1150 | 862 50 | 2012 50 | 2012 50 | უმაღლ. განათლებით. |
| 4 | მისი თანაშემწე . . . . . . . . | 1 | VIII | 1000 | 800 | 1800 | 1800 | უმაღლ. იურიდ. განათლებით. |
| 5 | საქმის მწარმოებელი. . . . . . | 2 | 14/13 | 495/470 | 792/775 91 | 1287\|1246 16 | 2533 16 | |
| 6 | მედავთრე . . . . . . . . . . | 2 | 5 | 288 75 | 621 81 | 909 56 | 1819 12 | |
| 7 | მთარგმნელი . . . . . . . | 1 | 5 | 288 75 | 621 81 | 909 56 | 909 56 | |
| 8 | კონტორის მოხელე . . . . . . | 3 | 5 | 288 75 | 621 81 | 909 56 | 2728 68 | |
| 9 | ბუხჰალტერი. . . . . . . . . | 1 | IV | 725 | 725 | 1450 | 1450 | |
| 10 | მოანგარიშე . . . . . . . . . | 1 | 10 | 420 | 747 60 | 1167 60 | 1167 60 | |
| 11 | შიკრიკი . . . . . . . . . . . | 2 | 1 | 183 75 | 510 82 | 694 57 | 1389 14 | |
| | სულ. . | 14 | — | — | — | — | 20822 26 | |
| | **ახალ გასაყვან რკინის გზების განყოფილება.** | | | | | | | |
| 12 | განყოფილების უფროსი . . . . | 1 | XIII | 1500 | 900 | 2400 | 2400 | უმაღლ. ტეხნ. განათლებით. |
| 13 | უფროსი ინჟენერი. . . . . . . | 1 | VIII | 1000 | 800 | 1800 | 1800 | „ „ „ |
| 14 | უმცროსი ინჟენერი . . . . . . | 1 | 1 | 850 | 765 | 1615 | 1615 | „ „ „ |
| 15 | ტეხნიკი . . . . . . . . . . . | 1 | 10 | 420 | 747 60 | 1167 60 | 1167 60 | იგივე საინჟენერო საბჭოს მდივანი. |
| 16 | მხაზველი . . . . . . . . . . | 1 | 6 | 315 [illegible] | 645 75 | 960 75 | 960 75 | იგივე სალიკვიდაციო არქივის გამგე. |
| 17 | კონტორის მოხელე . . . . . . | 1 | 5 | 288 75 | 621 81 | 909 56 | 909 56 | |
| 18 | შიკრიკი. . . . . . . . . . . | 1 | 1 | 183 75 | 510 82 | 694 57 | 694 57 | |
| | სულ. . | 7 | — | — | — | — | 9547 48 | |
| | **ავტომობილი.** | | | | | | | |
| 19 | შოფერი . . . . . . . . . . . | 1 | 8 | 367 50 | 697 25 | 1065 75 | 1065 75 | |
| 20 | შოფერის თანაშემწე . . . . . | 1 | 1 | 183 75 | 510 82 | 694 57 | 694 57 | |
| | სულ. . | 2 | — | — | — | — | 1760 32 | |
| | მთელი შტატი დეპარტამენტისა . | 25 | — | — | — | — | 32130 06 | |
| | წელიწადში. . | — | — | — | — | — | 385560 72 | |

1919 წ. აგვისტოს 1-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი.**

## დეკრეტი

**დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის განკარგულებაში—150.000 მ. გადადებისა მოულოდნელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი საჭიროების დასაკმაყოფილებლად.**

1. გაღებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის განკარგულებაში—ას ორმოცდაათი ათასი (150.000) მ. მოულოდნელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წ. აგვისტოს 2 ს.

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის უფროსი ამხან. ალ. **ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი.**

## დეკრეტი

**1919 წლის ივლისის 29 და 31 მიღებულ სამხედრო კანონების ძალაში შესვლისა.**

1. დამფუძნებელი კრების მიერ ივლისის 29 მიღებული კანონები: „რესპუბლიკის სამხედრო მმართველობის მოწყობისა" და „რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალთა მოწყობისა" და ივლისის 31: „სამხედრო ბეგარისა და შეიარაღებულ ძალთა შევსებისა," „სამხედრო პირთა ხარისხების შესახებ დებულების შეცვლისა, „ოფიცრების, სამხედრო მოხელეების და ჯარის კაცების ჯამაგირისა", „ოფიცერთა და ჯარის კაცთა ტანისამოსის ფორმისა", „სამხედრო მფრინავთა ჰაერში ფრენისათვის გასამრჯელოს მიცემისა" და „შეიარაღებულ ძალთა რეორგანიზაციისა" ძალაში შედის ამა წლის აგვისტოს პირველიდან.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წ. აგვისტოს 2-ს.

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის უფროსი ამხან. **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი.**

## დეკრეტი

**ქ. ჭიათურის სასარგებლოდ შავიქვის საფუთო გადასახადის გადიდებისა.**

1. ქ. ჭიათურის თვითმმართველობას უფლება მიეცეს 1918 წ. სექტემბრის 3-ს დაწესებული საფუთო გადასახადი გაადიდოს და ნაცვლად ერთი კაპ. ქალაქის სასარგებლოდ დააწესოს ორი კაპ. ჭიათურის სამრეწველო რაიონიდან რკინის გზით გადატანილ შავიქვის ყოველი ფუთისათვის.

**შენიშვნა:** საერთო დებულება საფუთო გადასახადისა გავრცელებულ არ იქნეს ქ. ჭიათურასა და ფოთში შეტანილ და გატანილ შავქვაზე.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წ. აგვისტოს 2-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

**ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე

**ევგ. გეგეჭკორი.**

# გზათა დეპარტამენტის ცენტრალ ორგანოს ხარჯთ-აღრიცხვა.

| №№ რიგზე | ხარჯების საგანი. | წლიური ჯამი მან. | კაპ. | შენიშვნისათვის. |
|---|---|---|---|---|
| 1 | დეპარტამენტის ცენტრალ ორგანოს შტატის შესანახად . . . . . . . . . . . | 385560 | 72 | შეხ. 1. იხილე შტატი. |
| 2 | დეპარტამენტის და საინჟენერო საბჭოები-სათვის . . . . . . . . . . . . | 16780 | — | შეხ. 2. მოწვეული პირის ჯილდოდ ნავულისხმევია 25 მან. დეპარტამენტის თითო სხდომაზე დასწრებისათვის. საინჟენერო საბჭო 26×5×25=3250 მან., დეპარტამენტის საბჭო 52×5×25=6500 მან., დამატებითი წლიური ჯამაგირი საინჟენერო საბჭოს თავმჯდომარეს 6000 მ., საკანცელარიო და წვრილმანი ხარჯი 1000 მან. |
| 3 | ჯილდო ზედმეტ და ნარდ მუშაობისათვის . | 20000 | — | |
| 4 | საგზაო ფული (სადღიური), მცოდნე პირთა მოწვევა საექსპერტიზოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში და სხვა . . . | 10000 | — | შეხ. 3. ნავარაუდევია 7, 8% უმცროს მოსამსახურეთა წლიურ ჯამაგირისა. |
| 5 | სადგომის დაქირავებისა, გათბობისა, განათებისა და სუფთად შენახვისათვის . . . . | 15200 | — | შეხ. 4. სადღიური: რესპუბლიკის საზღვრებში 2000 მ., ამიერ-კავკასიის საზღვრებში 3000 მ., ექსპერტიზა 5000 მ. |
| 6 | ავტომობილის შენახვისათვის . . . . . . . | 25000 | — | შეხ. 5. ამ ჯამიდან მთელი დეპარტამენტისათვის ნავარაუდევ 10 ოთახის ქირა შეადგენს 4800 მან., 6 კუბ. საჟ. შეშა (თითო საჟენი 800 მ.) გასათბობად 4800 მან., ელექტრონით განათება 1200 კილ. საათი თითოსი 3 მან.—3600 მან. და ოთახების სუფთად შენახვა—2000 მ. სულ 15200 მან. |
| 7 | საკანცელარიო ხარჯი . . . . . . . . . . | 20000 | — | |
| 8 | მოულოდნელი და განსაკუთრებული ხარჯი . | 10289 | 28 | |
| | ჯამი . . | 502800 | — | შეხ. 6. ბენზინი 25×50×12=15000 მ. კამერები, ზეთი, კარბილი, ტავოტი და სხვა 5000 მ., შეკეთება 5000 მ., სულ 25000 მ. ეს ხარჯი გამოირიცხება მთავრობის გარაჟის კრედიტიდან. |
| | | | | შეხ. 7. ამ ჯამიდან საკანცელარიო ხარჯი ნავარაუდევია თვიურად 400 მ., ხოლო წლიურად 4800 მან., გაზეთი და ჟურნალები 1500 მან., ტელეფონები დეპარტამენტის უფროსს მოსამსახურეთათვის 1200 მან., განცხადებანი და სასტამბო ხარჯი 7300 მან., საბეჭდავ მანქანების შეკეთება 2400 მ., წვრილმანი ხარჯი 2800 მ. |
| | | | | შეხ. 8. 10289 მან. 28 კაპ. შეადგენს დაახლოვებით 2,% მთელი ჯამისა. |

**1919 წ. აგვისტოს 1-ს.**

საქართველოს დამფუძნებელი კრების
თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი.**

## არა ოფიციალური განყოფილება

# მთავრობაში

**16 აგვისტოს სხდომა.**

სხდომას დაესწრენ მთავრობის თავმჯდომარის მაგიერ ბ ნი კანდელაკი; მინისტრის ამხანაგები: ბ ნნი ავალიანი, ჩიქინაძე, საბახტარაშვილი, ერაძე, გედევანიშვილი, გელეიშვილი, ცინცაძე, სოლოროვი, ქარცივაძე; საქმეთა მმართველი კ. ჯაფარიძე. მდივნობს დ. ლომთაძე.

**მოხსენება ფინანსთა მინისტრისა.**

**სააქციზო სამართველო**

მოხსენება, სოხუმის ოლქის სააქციზო სამართველოს მოსაწყობად და შტატის შესანახად 14041 მან. 66 კაპ. გადადების შესახებ ამა წლის 1 აგვისტოს 1920 წლ. იანვრის 1-მდე, მიღებულ იქნას მხოლოდ მოსამსახურეთა ჯამაგირი გადიდდეს არსებულ კანონის მიხედვით. საჭირო თანხა გადაიდოს ათ მილიონიან ფონდიდან.

**მოხსენება გზათა დეპარტამენტის დირექტორისა.**

**მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესება.**

ბათომ-ნატანების რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთ დღიდან ბათომ-ნატანების რკინის გზის შტოს საქართველოს ხელში გადმოსვლისა ე. ი. ამა წლის 15 აპრილიდან მიეცეთ რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთათვის დაწესებული დღიური სარგო იმ ნორმებით, როგორც მაშინ არსებობდა საქართველოს რკინის გზის მოსამსახურეთათვის, ხოლო ამა წლის 25 ივლისიდან მთავრობის 25 ივლისის დადგენილებით გადიდებულ ნორმების მიხედვით. ეს დადგენილება მიჩნეულ იქნას დროებით ზომათ და ძალაში დარჩეს მანამდე, სანამ ბათომ-ნატანების რკინის გზის შტო ეკონომიურად ვაუერთდება საქართველოს რკინის გზებს.

**მოხსენება შრომის მინისტრისა.**

**ხელფასის ახალი ტარიფი.**

სახელმწიფო ლითონის წარმოების მუშა მოსამსახურეთათვის დაწესდეს ამა წლის 1 ივლისიდან შემდეგი ხელფასის ტარიფი დამტკიცებული სატარიფო პალატის მიერ ამა წლის 24 ივლისს: 1) კატეგორიის გარეშე მყოფი უმაღლეს ხარისხის ხელოსნები 1880—2000 მან. 2) კვალიციური მუშები: პირველი ჯგუფი: 1-ლი კატეგორია 8—10 2-რე 7—85. მეორე ჯგუფი: 1-ლი კატეგორია 7—45, 2 რე 7—10. მესამე ჯგუფი 1-ლი კატეგორია 6—75, 2 რე 6—50 მეოთხე ჯგუფი 6—05, მეხუთე 5—40, 6—05. მეექვსე ჯგუფი (შავი მუშები): ცხელ წარმოებაში 5—50, ცივ წარმოებაში 5—40. მოწაფეები 6 თვემდე 3 მან. 6 თვიდან 1 წლამდე 3—25, $1^1/_2$ წლიდან 2 წლამდე 3—80, 2 წლიდან $2^1/_2$ წლამდე 4—20, $2^1/_2$—3 წლამდე 4—40 დარაჯნი (თვიური ჯამაგირი): 1 კატეგორია 1100, 2-რე კატეგორია 1000, 3-მე—900, კონტორის მოსამსახურენი 1-ლი კატეგორია 1250—1400, 2-რე 1100—1250, 3-მე 1000—1100ს 4-ხე 900—1000. მხაზავები: ა) მხაზავები კონსტრუქტორები 1400—1500, ბ) მხაზავები 1200—1300, გ) მხაზავები გადამღებნი 909—1100 მ. იმ უწყებებს, რომელთა გამგებლობაში არის ასეთი წარმოება დაევალოს გამოითხოვონ საჭირო კრედიტი.

**მოხსენება მომარაგების მთავარი გამგისა.**

**სიმინდის დამზადება.**

მიეცეს აფხაზეთის კომისარიატს უფლება სიმინდის გამოზიდვისა სანამ 200,000 ფუთს ჩაგვაბარებენ. სასურსათო საბჭომ უნდა დაუდვას კომისარიატს ვალდ, რომლის განმავლობაში ხელშეკრულება უნდა შესრულდეს და აცნობოს მომარაგების მთავარ სამმართველოს.

**პურის დამზადება.**

პურზედ მონოპოლიის დაუყოვნებლივ შემოღება აწ არსებულ პირობებში მიუღებელი არის. ორგანიზაციას საფუძვლათ უნდა დაედვას მთავარი ცენტრი, რომელიც აწარმოებ, მთელ ოპერაციებს ადგილობრივ. ასეთ ხელმძღვანელ ცენტრათ უნდა იქნეს მთავარი გამგეობა. პასუხის ოპერაციათა წარმოება დაევალოს ადგილობრივ ერობას, რაიონთა კოოპერატივებს, დამმზადებელ აპარატებს, სახალგვარდიასა და აგენტებს რწმუნებულთ მთავარ გამგისა. პურის დამზადება უნდა სწარმოებდეს საერთო წესით და ინსტრუქციით, შემუშავებულით მთავარ გამგეობის მიერ. ფასები პურზედ არ უნდა იქნეს წინასწარ განსაზღვრული.

მთავარ გამგეობის რწმუნებულთა განკარგულებაში უნდა იქნეს გადებული საჭირო თანხა, რომელიც გადაეცემა ორგანიზაციებს პურის ჩაბარებისთანავე. პურის დასამზადებლათ არსებული ადგილები უნდა დაყოფილ იქნას რაიონებათ და ამ რაიონებში პურის სყიდვა დამზადება უნდა მიენდოს განსაკუთრებულ ორგანიზაციებს და კერძო პირებს მთავარ გამგეობის მიერ შემუშავებულ გეგმის და მიხედვით. საჭირო არის პურის დამზადებელ ორგანიზაციების განკარგულებაში გადაეცეს საკმაო რაოდენობა სოფლათ საჭირო საქონლისა პურზედ გადასაცვლელათ, დაევალოს მომარაგების მთავარ სამმართველოს უფრო ვრცელი ინსტრუქციის გამომუშავება.

# მთავარ მომარაგების სამართველოში

**ფქვილის მიღება.**

აღერბეიჯანიდან მთავარ მომარაგების სამართველომ მიიღო 25 ვაგონი ფქვილი, რომელიც განაწილდება ქალაქსა და კერძო დაწესებულებების შორის.

**ჩაის მიღება.**

მთავარ მომარაგების სამართველომ მიიღო კარგი ღირსების ცეილონის ჩაი სულ ოცი ათასი გირვანქა. ეს ჩაი სამჯერ ნაკლები ღირება ბაზრის ფასებზე. ამ დღეებში სამართველო მიიღებს კიდევ 40 ათასი გირვანქა ჩაის ვისოცკის ფირმისას.

**ლურსმნეულობის მიღება.**

მთავარ მომარაგების სამართველომ მიიღო 11 ათასი ფუთი ლურსმანი, რომელიც ძლიერ ესაჭიროება ამ ჟამად სოფელს, სადაც სამართველო აპირებს გაგზავნას პურზე გადასაცვლელად.

**შაქრის შესყიდვა.**

მთავარ მომარაგების სამართველომ შეისყიდა ოცი ათასი ფუთი შაქარი—რაფინადი მარსელის ფირმა „მირზაიანცისაგან". ეს შაქარი ამ ორ დღეში შემოვა ტფილისში და გაიყიდება გაცილებით იაფად ვიდრე ბაზარზე იყიდება დღეს. დაახლოვებით გირვანქა შაქარი ღირება 25—27 მანეთი.

**ფართლეულობის შეძენა**

მთავარ მომარაგების სამართველომ ამავე ფირმისაგან შეიძინა დიდძალი ფართლეულობა დაახლოებით ოთხ მილიონ მანეთისა. საქონელს სამართველო ამ დღეებში მიიღებს ტფილისში.

**პურის დამზადება.**

პურის დამზადების საქმეს სამმართველო ენერგიულათ აწარმოებს. სოფლათ აგზავნის ფართლეულობასა და სხვა საჭირო საგნებს, რომელიც დაეთმობა იმათ ვინც მთავრობას დაუთმობს პურს.

**ყალბი მოწმობანი თამბაქოზე.**

ვინაიდან მთავარ მომარაგების სამმართველომ აღკრძალა უმოწმობოთ თამბაქოს გაზიდვა საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებიდან გაჩნდენ ერთგვარი „მაშენიკები", რომელნიც მსურველთ აჯერებენ შეისყიდონ მათგან მოწმობის ნებართვანი ვითომც და გაცემული მთავარ სამმართველოს მიერ. ამის გამო სამმართველოს საქმეთა მმართველი საყოველთაოთ აცხადებს რომ ყველა ესეთი წინადადებანი ამ ვაჟბატონების მიერ მოტყუებათ უნდა ჩაითვალოს ვინაიდან ნებართვა თამბაქოს გაზიდვის შესახებ, საზღვარ გარეთ არ შეიძლება გაიცეს სამმართველოს ნებადაურთველათ.

# სატარიფო პალატაში.

სატარიფო პალატამ უკვე დაუგზავნა ახალ მომატებული ხელ-ფასის ნუსხა (35% მომატებით) ყველა კავშირთა გამგეობას და საქარხნო-სამრეწველო კავშირს.

**ხელფასის მომატების საკითხის განხილვა.**

სატარიფო პალატა შეუდგა რესპუბლიკის ყველა ქალაქებსა და დაბებში ხელფასის მომატების განხილვას. პირველად განიხილა ქუთაისის მუშათა მოთხოვნილება; პალატამ სპეციალურად შრომის სამინისტროს წარმომადგენელი გაგზავნა ქუთაისში პირველ საჭირო საგნების ფასების მომატების გამოსარკვევად. წარმომადგენელი უკვე დაბრუნდა და სათანადო მოხსენება გაუკეთა სატარიფო პალატას.

**საავადმყოფო კასის ბინა.**

შრომის კომისარის მოადგილემ ს. ფანცხავამ სთხოვა ქალაქის თავს, რათა მოახდინოს რეკვიციზია ქალაქის საერთაშორისო საავადმყოფო კასის ბინისთვის სასტუმრო „ჟენევა"-ში (პლეხანოვის პროსპ.), ვინაიდან ჩამორთმეული ორი ოთახი სასტუმრო „ლონდონ"-ში უვარგისი გამოდგა კასის ბინისთვის.

**სავალდებულო დადგენილება.**

გუბერნიის შრომის კომისარის მოადგილემ ს. ფანცხავამ სასტუმრო და საბინაო ოთახების მეპატრონეთ დაუგზავნა სავალდებულო დადგენილება ტფილისის მომრიგებელ კამერის მიერ გადაწყვეტილი: 1) მოსამსახურეს, რომელსაც უმსახურნია წელიწადზე მეტი პირველ სამი წლის ნამსახურს უნდა მიეცეს სალიკვიდაციო ერთი თვის ჯამაგირის მიხედვით—დანარჩენის კი (4-5-6) ნახევარი თვის; 2) მოსამსახურეს, რომელიც წელიწადზე ნაკლები უმსახურნია ნახევარი თვიურ ჯამაგირისა უნდა მიეცეს, მაგრამ არა ნაკლებ ორი კვირის ჯამაგირისა; 3) ყოველმა დათხოვნილმა მოსამსახურემ უნდა მიიღოს უკანასკნელი ჯამაგირის მიხედვით ყველა მომატებით და თანაც სტოლის—200 მან., ბინის 50 მანეთი ცოლშვილიანს—უცოლშვილოს კი 30 მან.

**ტარიფი და კოოპერატივის მოსამსახურენი.**

პალატამ ტფილისის კოოპერატივთა კავშირის გამგეობას კოოპერატივებში მოსამსახურეთა ხელფასის შესახებ შემდეგი აცნობა: ტარიფი კოოპერატივებში მოსამსახურეთათვის სავალდებულოა ორივე მხარისათვის დამოუკიდებლად იმისა თუ როგორი ტარიფი არსებობს კერძო სავაჭრო დაწესებულებაში. კერძო სავაჭროებისათვის არსებობს უკვე სატარიფო პალატის გამომუშავებული ტარიფი. ერთგვარი შრომის დაფასება კოოპერატივთა და კერძო სავაჭროების მოსამსახურეთათვის შეუძლებელია დაწესდეს ზოგიერთ კატეგორიათა ხელფასის ჩამორჩენის გამო. ასეთ ჩამორჩენილთათვის არსებობს 35% მომატება და განსაკუთრებული მინიმუმი, რაიც პირველი ნაბიჯია კოოპერატივთა და კერძო სავაჭრო დაწესებულებების მოსამსახურეთა გათანასწორებისა. რაც შეეხება სავაჭროს და შრომის დროის განსაზღვრას, ეს დამოკიდებულია შრომის კომისარისა და ქალაქის გამგეობისაგან.

# სამუსლიმანო საქართველოში.

### ბრწყინვალე გამარჯვება.

დამფუძ. კრების დამატებითი არჩევნები ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში დასრულდა. ხმები დათვლილია. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ესა თუ ის საზოგადოებრივი ჯგუფი და პოლიტიკური პარტია უდგება თავის ნაშრომის დაფასების ძალათა განწყობილების აწონ დაწონვას.

როგორია შედეგი არჩევნების, რა დაგვანახა მან და როგორია მომავლის პრესპექტივები?

ახალციხის მაზრაში 35 ათას ამრჩეველიდან მონაწილეობა მიიღო დაახლოვებით 30 ათას ამრჩეველმა, ხოლო აქედან 24 ათას ხმაზე მეტი ხვდა სოციალდემოკრატიას. დაშნაკელებმა მიიღეს დაახლოვებით 3000 ხმა, ხოლო ეროვნულმა პარტიამ 2500, დანარჩენმა პარტიებმა უმნიშვნელო ხმები შეაგროვეს.

ახალქალაქის მაზრაში კი 25 ათას ამრჩეველიდან ყუთებთან გამოცხადდა 21687 ამრჩეველი, საიდანაც 13 ათასამდე სოციალდემოკრატიას მისცა ხმა, ხოლო დაშნაკელებს შვიდ ათასზე ცოტა მეტმა. დანარჩენმა პარტიებმა აქაც უმნიშვნელო ხმები მიიღეს.

ვინც იცის ახალციხე-ახალქალაქის მდგომარეობა, ვისაც აქვს გათვალისწინებული მისი ახლო წარსული, ვინც ჩაუკვირდება იმ დავას, რომელიც სწარმოებს ამ მაზრების გარშემო, მისთვის ზემოთ მოყვანილი ციფრები ბევრი რამის მთქმელია.

ჩვენ აქ სრულიად არ გვსურს სოციალდემოკრატიის გამარჯვებაზე ლაპარაკი, ეს პარტია ისედაც ძლიერია საქართველოში და ჩვენს დასტურს არ საჭიროებს, მხოლოდ აქ გვინდა შევეხოთ მომხდარ არჩევნებს სახელმწიფოებრივ თვალსაზრისით. დღემდი ორივე მაზრა ჩვენი მტრებისაგან სადაოთ იყო მიჩნეული. ერთნი ახალციხეს ყარსისკენ ეზიდებოდენ, ხოლო მეორენი ჯავახეთს-ერევანისაკენ.

ახალციხის მაზრაში დღემდი ძლიერი იყო თურქოფილური მოძრაობა, რომელიც ხალხს სტამბოლისაკენ ერეკებოდა და ამ სახით ახალციხეში ორი წლის წინეთ გამოდიოდა მუსავატი, რომელმაც მაშინ ხმების უმრავლესობა მიიღო.

დღეს მართალია მუსავატი არ გამოსულა თავის საკუთარ დროშით, მარა საქართველოში აღმოჩნდა მუსავატი, რომელმაც თურქულ ორიენტაციით დაიწყო მუშაობა და თავის გარშემო მოუყარა თავი ოსმალეთის ყველა აგენტებს და მსხვილ ფეოდალებს. ახალციხის მაზრა საქართველოში განსაკუთრებული მაზრაა, ის ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულა ფეოდალურ უღლისაგან და ამისთვის ბეგების გავლენას დიდი ადგილი უნდა ჰქონდეს. ვეშაპელმაც აული ალლო ამ გარემოებას, მან წამოისროლა მემამულეთა ლოზუნგი და ასე ზევიდან დაბალი ხალხის თავის სასარგებლოთ დამორჩილებას შეეცადა. მარა აქ მას გადამჭრელ ბრძოლაში შეება დემოკრატია, რომელიც გამოდიოდა საქართველოს რესპუბლიკის სოციალისტური მთავრობის დროშის ქვეშ და ხალხს მთელი საქართველოს დემოკრატიასთან ერთობისაკენ მოუწოდებდა. ბრძოლა დემოკრატიის სრული გამარჯვებით დასრულდა, ვეშაპელის დამარცხება იყო დამარცხება თურქული ორიენტაციის და ფეოდალთა კლასის, რომელნიც ვეშაპელის სახით ჩარხის კვლავ თავის სასარგებლოთ შემობრუნებას ლამობდენ. მოხდა ისეთი ფაქტი, რომელსაც ჯერ მესხეთის ცხოვრებაში ადგილი არ ჰქონია. ეს მაზრა თვით ნიკოლოზის რეაქციის დროსაც კი სათათბიროს არჩევნებისას თავის ინტერესების დაცვას ანდობდა ბეგებს, რომელნიც ტფილისის არჩევნებში მხარს უჭერდენ ქართველ თავადაზნაურობას.

ამიერიდან მესხეთის დემოკრატიის აღორძინების ხანა იწყება, მშრომელი მასა ინიციატივას იჩენს და რამდენათ აქტიური იქნება მისი მუშაობა, იმდენათ ადრე გაუთანასწორდება ის საქართველოს დემოკრატიას.

ახალციხის მაზრაში გამოდიოდა კიდევ მესამე ძალა, რომელსაც მართალია არ ჰქონდა ამ მაზრაში გადამჭრელი მნიშვნელობა, მარა მას აქვს მეორე და არა ნაკლებ მნიშვნელოვანი მხარე. ეს არის დაშნაკციუტუნი, რომელმაც ქალაქში ხმების თითქმის 80 პროცენტი მიიღო. ახალციხის სომხობა კვლავ დაშნაკცუტიუნს მიჰყვება, საქართველოს დემოკრატიას ზურგში არასაიმედო ძალა ჰყავს, რომელსაც ხელთ უპყრია მესხეთის ცენტრი. დემოკრატიამ მესხეთში აიღო ყველა სიმაგრენი, დარჩენილია მხოლოდ ქალაქი, რომლის აღება დემოკრატიისთვის აუცილებელია, ის ვერ მოითმენს რეაქციონურ და შოვინისტურ ძალების ახალციხეში ბატონობას.

ახალციხის მაზრას უნდა მივაკუთნოთ აგრეთვე ფოცხოვის რაიონი, რომელმაც 95 პროცენტი თავის ხმებისა დემოკრატიას მისცა და ასე ამიერიდან ის საქართველოს განუყრელ ნაწილათ ითვლება.

ასეთი იყო ძალთა განწყობილება ახალციხის მაზრაში.

სულ სხვაა ჯავახეთი, მისი კითხვა თავიდანვე მწვავეთ იდგა საქართველოსათვის. არც ერთი მაზრის არჩევნები არ არის ამისთვის ისე საყურადღებო, როგორც ჯავახეთის არჩევნები, რომელმაც ერთხელ კიდევ დაადასტურა საქართველოს უფლება ისტორიულად ამ მის განუყოფელ მიწა-წყალზე.

ერევნის მთავრობა ქვეყანას არწმუნებდა, რომ ჯავახეთი მისი კუთვნილებაა, მას იქ ჰყავს სომხების დიდი უმრავლესობა, რომელსაც საქართველოსთან არ სურს ყოფნა და ერევნისაკენ მოიწევაო. სინამდვილემ სულ სხვა დაგვანახვა. არჩევნებმა დაამტკიცა, რომ თუ მთელი მცხოვრებლები არა, ჯავახეთის ხალხის ორი მესამედი საქართველოს ღვიძლი შვილებია და მას ვერ დაშორდებიან და თუ ამას მიუმატებთ იმ გარემოებასაც, რომ დაშნაკელების მიერ მიღებული 7000 ხმა არ შეიძლება ჩაითვალოს ერევნის ორიენტაციის ხმებათ, მაშინ ამიერიდან მაინც ერევანის მთავრობამ თავი უნდა გაანებოს უსაფუძვლო პრეტენზიებს, უნდა დარწმუნდეს, რომ მისი ცდა ჯავახეთის შეერთებისა არის მიუტევებელი ავანტიურა, რომელსაც შეუძლია ჯავახეთი კვლავ ცეცხლში გახვიოს.

მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. ჯავახეთის ხალხმა ხმის მიცემით დაამტკიცა თავისი განუყოფელობა საქართველოსთან. სხვანაირად არც შეიძლებოდა. ეკონომიურათ, გეოგრაფიულათ, კულტურულად ჯავახეთი შეკავშირებულია ტფილისთან და საქართველოს სხვა მიწა წყალთან. ამას დაუმატეთ დაშნაკელების მიერ წარსულში შექმნილი უბედურება ჯავახეთში და არავისთვის გასაკვირველი არ იქნება თუ ამ ხალხმა არ ისურვა ავანტიურისტებთან ყოფნა, ყარაბახის მზგავსად ცეცხლში ჩავარდნა და კვლავ აოხრება.

ამიერიდან ყველა უნდა გაჩუმდეს—ჯავახეთი საქართველოს ჯავახეთია და დემოკრატია, რომელმაც დაამარცხა შავი ძალები, არავის უფლებას არ მისცემს აფათუროს ხელი მის საკუთარ ქვეყანაში. ეს უნდა გაიგონ კარგათ დაშნაკელნებმა, ეს უნდა შეიგნონ ავანტიურისტებმა, რომელნიც ხალხის სისხლს არ ერიდებიან და იმპერიალისტური მიზნებით გატაცებულნი სხვის ოჯახში მიიჭრებიან

ერთი მეტად საყურადღებო გარემოება ახასიათებს წარსულ არჩევნებს. ხალხმა არჩევნებში მხურვალე მონაწილეობა მიიღო და არსად აბსენტეიზმს ადგილი არ ჰქონია. ამრჩეველთა დაახლოვებით 80 პროცენტი მაინც გამოცხადდა, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის მომხდარ უდიდეს აქტს და საუკეთესო პასუხს აძლევს იმ არამკითხე მოდავეთ, რომელნიც საქართველოს ხარჯზე თავის საკუთარ ბედნიერების აგებას ლამობენ.

ამგვარათ ახალციხე-ახალქალაქის არჩევნებმა ორნაირი გამარჯვება არგუნა საქართველოს ხალხს. ერთი მხრით არჩევნებმა დაამარცხა გარეშე ძალა, რომელიც ძალით ლამობდა ამ მაზრების ჩვენზე მოწყვეტას და მეორე მხრით დემოკრატიის გამარჯვებამ დათრგუნა შინაური რეაქცია, რომელიც ხალხის მამოძრავებელ ძალებს ბორკავდა.

ბრწყინვალეთ გაიმარჯვა მესხეთ ჯავახეთში საქართველოს სახელმწიფოებრივმა იდეამ და ამ გამარჯვებას ამშვენებს დემოკრატიის გამარჯვებაც. ეს უკანასკნელი გამარჯვება კი სამუდამოთ განამტკიცებს ახალციხე-ახალქალაქში საქართველოს დემოკრატიის კულტურას.

ხანგრძლივი იყვეს ეს გამარჯვება.

# დამფუძნებელი კრების დამატებითი არჩევნები.

### არჩევნების შედეგი.

#### ახალციხის მაზრა.

10, 11, 12 აგვისტოს დანიშნულმა დამფუძნებელი კრების დამატებითი არჩევნებმა შემდეგი შედეგი მოიტანა.

**იდუმალის საზოგადოება.** ამრჩეველი იყო 2551. მონაწილეობა მიიღო 2103. აქედან № 1 მიიღო 1766 ხმა, № 3—9, № 5—3, № 4—124, № 8—201.

**კლდის საზოგადოება.** ამრჩეველი იყო 2220, მონაწილეობა მიიღო 1920. აქედან № 1 მიიღო—1762, № 5—24, № 8—131.

**ლეშისის საზოგადოება.** ამრჩეველი იყო 3823, მონაწილეობა მიიღო 3303. აქედან მიიღო № 1—3078 ხმა, № 3—4, № 4—2, № 5—5, № 8—178, № 11—34, № 14—6.

**ურაველის საზოგადოება.** ამრჩეველი იყო 3494, მონაწილეობა მიიღო 3169. აქედან № 1 მიიღო—3003 ხმა, № 2—6, № 3—8, № 4—1, № 5—98, № 8—47, № 11—1, № 9—4.

**აწყურის საზოგადოება.** ამრჩეველი იყო 3563, მონაწილეობა მიიღო 2814. აქედან № 1 მიიღო 2207, № 2—17, № 3—4, № 5—215, № 7—2, № 8—361.

**ვარხანის საზოგადოება.** ამრჩეველი იყო 3165, მონაწილეობა მიიღო 3063. აქედან № 1 მიიღო—3037 ხმა. № 2—4, № 3—7, № 5—3, № 6—49, № 7—1, № 8—62.

**უდის საზოგადოება.** ამრჩეველი იყო 2451, მონაწილეობა მიიღო 2262, № 2—8, № 3—3, № 5—67, № 8—106.

**ადიგენის საზოგადოება.** ამრჩეველი იყო 2325, მონაწილეობა მიიღო 1987. აქედან № 1 მიიღო—1221, № 2—10 № 3—8, № 5—5, № 7—7, № 8—652, № 11—17, № 12—42, № 14—10.

**ვალეს საზოგადოება.** ამრჩეველი იყო 3640, მონაწილეობა მიიღო—2496. აქედან № 1 მიიღო 777, № 2—25, № 3—15, № 4—1262, № 5—37, № 7—78, № 8—314.

#### ქალაქი ახალციხე.

**რაბათი.** (ძველი ნაწილი) ამრჩეველი იყო 1626, მონაწილეობა მიიღო 783, აქედან № 1 მიიღო—229, № 8—4, № 3—1, № 4—286, № 5—58, № 8—205.

**პირველი საარჩევნო უბანი.** (ახალი ნაწილი). № 1 მიიღო—103, № 2—17, № 3—3, № 4—1718, № 5—8, № 8—124.

**ფოცხოვის რაიონი.** (არტაანის ოლქის ნაწილი საქართველოზე შემოერთებული).

**დიღურის საზოგადოება.** ამრჩეველი იყო 2966, მონაწილეობა მიიღო 2929. აქედან № 1 მიიღო—2702, № 2—24, № 3—8, № 5—7, № 6—40, № 7—8, № 8—100, № 9—2, № 11—4, № 13—34.

**ჭილვანის საზოგადოება.** ამრჩეველი იყო 2981, მონაწილეობა მიიღო 2754. აქედან № 1 მიიღო—2509, № 2—2, № 5—26, № 7—5, № 8—156, № 11—1, № 12—60.

#### ახალქალაქის მაზრა.

ამრჩეველი იყო დაახლოვებით 25 ათასი, მონაწილეობა მიიღო არჩევნებში 21687 ამრჩეველმა. აქედან № 1 მიიღო 13016 ხმა, № 3—67, № 3—560, № 4—7238, № 5—229, № 6—1, № 7—21, № 8—711, № 9—38 და № 12—6.

---

# მუნიციპალური ცხოვრება

### ქუთაისის თვითმართველობაში.

ქუთაისის ქალაქის საბჭოს მორიგი სხდომა ოთხშაბათს 20 აგვისტოს საღამოს 8 საათზეა დანიშნული. სხვა საყურადღებო საკითხებთან ერთად ამ სხდომაზე განხილული იქნება ქუთაისი-ხონი-წყალტუპო-ბომბუასხიდი-სამტრედიის რკინის გზის გაყვანის საკითხი.

ქუთაისის ქალაქის მოურავის ამხანაგი სერგო რობაქიძე, რომელიც ქალაქის საქმეების გამო ტფილისში იყო წასული 13 აგვისტოს უკვე დაბრუნდა ქუთაისში და თავის მოვალეობის ასრულებას შეუდგა.

ქუთაისის ქალაქის მოურავი დიმიტრი კალანდარიშვილი, რომელიც ორი თვის ავათმყოფობის შემდეგ დას[illegible] წარღვერში წავიდა ამ ჟამად თავს ძალზე კარგათ გრძნობს. ახლო მომავალში ის კვლავ დაბრუნდება ქუთაისში.

—

ქალაქის მოურავის სერგო რობაქიძის თავმჯდომარეობით ქუთაისის ქალაქის თვითმართველობის დარბაზში 14 აგვისტოს საღამოს 7 საათზე შესდგა ქალაქის საბჭოს იურიდიული, ფინანსიური და ტეხნიკური კომისიების შეერთებული სხდომა. სხდომას დაესწრენ: ხმოსანი კონსტანტინე სულაქველიძე, ტრიფონ ჯაფარიძე, კალისტრატე ჩიქვაიძე, იაკობ ფანცხავა, ვარლამ ჭილაძე, დავით ავალიანი, თეიმურაზ ჭუმბურიძე, ალექსანდრე პაპავა, გიორგი კაპანაძე, ვლადიმერ შავგულიძე, ქალაქის გამგეობის წევრი ანტონ მეფისაშვილი, ალექსანდრე ჯაფარიძე, ნიკოლოზ საყვარელიძე, ლევან ქორქაშვილი, ქალაქის საბჭოს მდივანი ილია ბახტაძე, ქალაქის იურის-კონსულტი იასონ ნიჟარაძე და ქალაქის ინჟინერი გრიგორ აბაშიძე. საბჭოს კომისრების შეერთებულმა სხდომამ მოისმინა ქუთაის-ხონი-წყალტუპო-ბომბუასხიდი-სამტრედიის ჭრკინის გზის გაყვანის საჭიროებაზე და მნიშვნელობაზე ხმოსანს კონსტანტინე სულაქველიძის დასაბუთებული ვრცელი მოხსენება, გაეცნო ზემო აღნიშნულს რკინის გზის გასაყვანათ დაწყებულ მუშაობას. ყოველ მხრივ გაითვალისწინა ჩვენი რესპუბლიკისათვის ქუთაის-ხონი-წყალტუპო-ბომბუასხიდი-სამტრედიის რკინის გზის დიადი კულტურული ეკონომიური მნიშვნელობა და ერთხმად დაადგინა: ქუთაისის ქალაქის თვითმართველობამ დაიკისროს თავის თავზე ერთი მესამედი ($^1/_3$) წილით ყოველგვარი პასუხისმგებლობა ზემოხსენებულ რკინის გზის გაყვანის საქმეში. ეს დადგენილება ახლო მომავალში განსახილველად და დასამტკიცებლად წარედგინება ქალაქის საბჭოს.

—

ქუთაისის ქალაქის თვითმართველობას განზრახვა აქვს ქალაქის ზოგიერთ ქუჩებში ახლო მომავალში გაიყვანოს კონკა.

13 აგვისტოს ღამით ქუთაისში ავაზაკები თავს დაეცენ და გაძარცვეს მირაბოვი. დამუქრებით ზემო-აღნიშნულ მირაბოვს ავაზაკებმა წაართვეს ოქროს სამკაულები, საშინაო ნივთები და მიმალენ. მეორე უბნის კომისარი ლომია მის თანაშემწე ქელბაქიანის და მილიციონერი: ბერეკაშვილის, ხანთაძის, თოდაძის, ავალიანის, კაკაშვილის და მგალობლიშვილის თანხლებით დაედევნა ავაზაკებს და ყველა ავაზაკი (6 კაცი) მთელი ნაძარცვი ნივთებით შეიპყრო და მილიციის სამმართველოში წარადგინა. ერთგულობის გამოჩენისათვის მილიციის უფროსმა სილიბისტრო მაღნარაძემ კომისარ ლომიას, კომისრის თანაშემწე ქელბაქიანს მილიციონერ: ბერიკაშვილს, ხანთაძეს, თოდაძეს, ავალიანს, კაკაშვილს და მგალობლიშვილს, მადლობა გადაუხადა და დამატებით შუამდგომლობა აძლრა ქალაქის გამგეობის წინაშე სამსახურში სიმამაცის გამოჩენისათვის ქალაქმა 300 მანეთით დააჯილდოვოს კომისარი ლომაია 200 მან. კომისრის თანაშემწე ქელბაქიანი და 150 მანეთით თითო მილიციონერი.

—

ქალაქის მოურავის ამხანაგმა სერგო რობაქიძემ მილიციის უფროსის სილიბისტრო მაღნარაძის თანხლებით 13 აგვისტოს დაათვალიერა მეორე უბნის სამილიციო სამმართველო. მოურავის ამხანაგი ს. რობაქიძე ახლო გაეცნო მოქალაქე მირაბოვის გამძარცველების დატუსაღების საქმეს და სამსახურში სიყოჩაღის გამოჩენისათვის მადლობა გადაუხადა მილიციის უფროსს სილიბისტრო მაღნარაძეს, კომისარ ლომიას, კომისრის თანაშემწე ქელბაქიანს და ყველა იმ მილიციონერებს, რომლებმაც 12—13 აგვისტო ღამეს ავაზაკების შეპყრობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს.

—

ქალაქ ქუთაისის სანიტარული მდგომარეობის შესახებ ქალაქის გამგეობას ქალაქის სანიტარულმა ექიმმა ვალერიან ლორთქიფანიძემ ვრცელი და შინაარსიანი მოხსენება წარუდგინა. თავის მოხსენებაში სანიტარული ექიმი ქალაქის სანიტარული მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ მოითხოვს: 1) ქალაქის ქუჩების დამხვეტთა და მეკაჭკეების შტატი გადიდებულ იქნეს. 2) უნდა იქნეს გადიდებული

კანალიზაცია, მანამდე კი „ასსენიზაციო“ ბოჭკები უნდა შეიძინოს და დააწესოს მაზე ნიხრი, 3) გაკეთებული უნდა იქნეს ქალაქისყველა მოედანზე ფეხის-ადგილი. ქალაქში სანიტარული წესების დასაცველათ წყალსადენის გაკეთება აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, სანამ წყალსადენი გაკეთდებოდეს უნდა შეიძინოს ქალაქმა ბოჭკების საკმაო რიცხვი, რომ მოქალაქეები, უზრუნველყოფილი იქნენ რიონის წყლით, 5) უნდა გამზადდეს ქალაქის განაპირა უბნებში „სპეციალური“ ფეჩები ქალაქში მოგროვილი ნაგვის დასაწვავათ. სანამ ასეთი ფეჩები მოეწყობოდეს ქალაქმა ნაგვის თავმოსაყრელ მოედნებზე უნდა გააკეთოს და შეაკეთოს მისასვლელი გზები, 6) უნდა დაარსოს ქალაქმა შესაფერი შტატით „ამბულატორია“ ავათმყოფ როსკიპთა საექიმოთ, 7) აუცილებლათ უნდა გაიხსნას ვენერიული განყოფილება ქალაქის საავათმყოფოხთან, 8) უნდა გაფართოვდეს და შესაფერი რემონტი გაუკეთდეს ბარაკს, 9) გაფართოვებულ უნდა იქნეს ქალაქის უფასო სამკურნალო; ამ სამკურნალოსთვის ყველა დარგის ექიმ-სპეციალისტების მოწვევაა საჭირო. ქალაქის უფასო სამკურნალოში ღამ-ღამობით ექიმთა მორიგეობა უნდა დაწესდეს. 10) ქალაქის სასაკლაო, რომელიც დღეს პრიმიტიულ მდგომარეობაშია, აუცილებელათ უნდა იქნეს გადაკეთებული და სხვ.

—

საშობაო და სააღდგომო დღესასწაულებში ღარიბ ქუთათურ მოქალაქეთათვის დახმარების აღმოსაჩენათ მოქალაქე სიმონ თედორაძემ ქუთაისის ქალაქის თვითმართველობას 27,200 მანეთი შესწირა.

—

ყველა ქუთაისის ქალაქის სამილიციო სამმართველოებში შემდეგი ბრძანება გასცა ქუთაისის მილიციის უფროსმა სილიბისტრო ჩალნარაძემ: „გამოძიებით გამოირკვა, რომ შუა უბნის კომისარის თანაშემწე ტყეშელაშვილმა ძალზე მთვრალმა 12 აგვისტოს უმიზეზოთ სასტუმრო „ორიანტში“ რევოლვერი გაისროლა, ეს ეცნობა მორიგ კომისარს თაყაიშვილს, მარა მან კომისრის თანაშემწე ტყეშელაშვილის წინააღმდეგ არავითარი ზომები არ მიიღო. სამსახურში ასეთი არასინდისიერი მოქმედებისათვის სასტიკ ჩემ გულის წყრომას ვუცხადებ როგორც კომისარის თანაშემწე ტყეშელაშვილს, აგრეთვე კომისარ თაყაიშვილს,—დამატებით ჩემს სამმართველო! თან სამი დღით ვატყვევებ კომისრის თანაშემწე ტყეშელაშვილს და ერთი დღით კომისარ თაყაიშვილს; მომავალში მათის მხრით ზემოაღნიშნული საქციელის განმეორება სამსახურიდან გადაყენებას გამოიწვევს.

—

ქალაქის გამგეობის წევრი ლევან ქორქაშვილის მოხსენების თანახმად ქუთაისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა: თეთრი ხიდი შესაკეთებლათ იჯარით იქნეს გაცემული.

—

საღორიის აგარაკის მცხოვრებლების თხოვნით ქუთაისის ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისიის თავმჯდომარე ხმოსან ალექსანდრე პაპავამ ამ დღეებში დაათვალიერა „ტიებოს“ სახლი; აგარაკის მცხოვრებლებს განზრახვა აქვთ ახლო მომავალში ქალაქის დახმარებით ზემო აღნიშნული „ტიებოს“ ბინა დაიქირავონ და იქ სკოლა და სახალხო უნივერსიტეტის განყოფილება გახსნან.

# მილიციაში

მუხრანის ქ. № 9-ში მცხოვრებმა რუვიმ მეერის ძე პუდალოვმა განუცხადა სისხლ. სამ. მილიციას, რომ მეხუთე ქართულ მსროლელ პოლკის შტაბს-კაპიტანმა ვლადიმერ კონსტანტინეს ძე ლორთქიფანიძემ გამოტყუა მას ერთი წყვილი ბრილიანტის საყურეები, რისთვისაც მისცა მას 10 თამასუქი 8 ათასი მანეთის და გაიპარა.

13 აგვისტოს ის აღმოაჩინა სისხლის სამ. მილ. უფროსის თანაშემწემ ჰელიძემ. გაჩხრეკის დროს მას აღმოაჩნდა ბეჭედი მე-5 პოლკ. კომანდირის ადიუტანტის, სადგ. სამტრედიის კომენდანტის, სარიკამიშის კომენდანტის და აგრეთვე რამდენიმე დოკუმენტი მიხეილ ჩხეიძის სახელზე. ის აღმოჩნდა არა ლორთქიფანიძე არამედ ჩხეიძე, რომელიც გამოტყდა, რომ ის იძლეოდა ყალბ თამასუქებს. საყურეები გაყიდული აღმოჩნდა.

ჩხეიძე გადაეცა საგამომძიებლო ნაწილს.

—

19 აგვისტოს საღამოს 11 საათზე სისხლ. სამ. მილიც. სამმართველოში განაცხადა ვოლგო კამის კომერციულ ბანკის რწმუნებულმა, რომ აღნიშნულ ბანკის მოლარემ ალექსანდრე რტოსძე პუპომ გაფლანგა ბანკის 679500 მ. რომლიდანაც 250 ათასი ეკუთვნის ამერიკის ლტოლვილთა დამხმარე კომიტეტს და დანარჩენი ბანკს, და გაიპარა. მილიც. უფროსის თანაშემწემ ჰელიძემ დააკავა პუპო, რომელიც გამოტყდა, დანაშაულობაში. პუპო საგამომძიებლო ნაწილს გადაეცა.

—

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სამინისტრომ 18 აგვისტოს შემდეგი აცნობა სისხლ. სამ. მილიციის უფროსს ფაჩულიას:

„სამხედრო მინისტრის თანაშემწემ მიბრძანა მე მეცნობებია თქვენთვის, რომ ტფილისში მყოფი ინგლისელი ჯარის უფროსი გენ. მონტენ-ბეცი დიდ მადლობას გიძღვნის თქვენ გასაკვირველ ენერგიისთვის და სიჩქარისთვის, რომელიც გამოიჩინეთ თქვენ, როგორც ტფილისის სისხლ. სამ. მილიციის უფროსმა იმ დამნაშავეთა აღმოჩეხის და დაპატიმრების საქმეში, რომელთაც მოჰკლეს ინგლისელი ჯარის კაცი ედუარდ მარტინი. ამასთანავე გაცნობებთ, რომ სამხედრო მინისტრის თანაშემწე თავის მხრივ მადლობელია თქვენი მოვალეობის სამაგალითოთ შესრულებისთვის“.

—

ინგლისელთა ეშელონის ახდილ ვაგონიდან, რომელიც იდგა ტფილისის სადგურზე მოიპარეს სახაზინო ნივთები: ფეხსაცმელი, ტანთსაცმელი და სხვა. ქურდები იქვე დააკავეს: პეტრე ლეოპოლდის ძე ვილჩინსკი—14 წლ. და ალექსანდრე ნიკოლოზის ძე სოკოლოვი 26 წლ. ისინი ჩამოვიდნენ ბაქოდან ორი კვირის წინეთ და მთელი ეს დრო გაატარეს სადგურზე ქურდობაში, მოპარული ნივთები მათ მიუყიდიათ მედუქნე სეროპიანცისთვის, რომელსაც სოფლელებზე გაუყიდია. სეროპიანცი დააპატიმრეს 1 თვით და ვილჩინსკი და სოკოლოვი გადაეცა ტფილისის რაიონის რკინის გზის მილიციის უფროსს.

# ერობა

დუშეთის სამაზრო ერობის გამგეობამ 2 აგვისტოს სხდომაზე მოისმინა რა მოხსენება გამგეობის წევრთა ა. სულიაშვილის და გ. ფარნიევის სტატისტიკოსთა ყრილობის მუშაობის შესახებ და იღებს რა მხედველობაში: 1) რესპუბლიკის სტატისტიკურ ძალთა სიმცირეს; 2) იმ გარემოებას, რომ კანონი მიღებულია ხალხის უზენაეს წარმომადგენლობითი სუვერენულ ორგანოს დამფუძნებელ კრების მიერ; 3) რომ ეს კანონი აძლევს საშუალებას ერობებს იყოლიონ თავიანთი წარმომადგენლები ცენტრალურ სასტატისტიკო საბჭოში და 4) იმ ფინანსიურ შედეგებს, რომელიც ექნება ამ კანონის ცხოვრებაში გატარებას-დუშეთის მაზრის ერობის გამგეობას მიზან შეუწონლათ და დაუშვებლათ მიაჩნია სტატისტიკოსთა ყრილობის მიერ გადადგმული დეცენტრალისტური ნაბიჯები და სავსებით იზიარებს და მხარს უჭერს დამფუძნებელი კრების კანონით მთავრობის მიერ შექმნილ ორგანოებთან ერობათა კანტაქტით მუშაობას.

## განცხადებანი

უფროსი სამხედრო საველე რაზმისა პორუჩიკი გ. კ. ჟორდანია ამით აცხადებს, რომ მან დაკარგა ტალონი ასიგნოვკისა № 61149 რომლითაც ტფილისის ხაზინიდან უნდა მიეღო რწმუნებულ მისდამი ოფიცრების ჯამაგირები ივლისისა სულ 5,705 მანეთისა. ზემო აღნიშნული ტალონი ჩაითვალოს გაუქმებულათ.
1185 1—1

**იყიდება სახლი** სამ სართულიანი. ანდრეევის ქუჩა, № 113. პირობების გაგება შეიძლება იმავე სახლში მელიტონ ბაქრაძესთან.
1181 3—1

სისხლ. სამარ. საქმ. წარმ. მე—846, 847 848, და 851 მუხლის თანახმათ სოხუმის ოლქის სასამართლოს დადგენილებით ეძებენ სოფ. ზვაიდრიპშის გუდაუდის მაზრის, სოხუმის ოლქის მცხოვრებ კოსტა აგირბას, რომელსაც ბრალი ედება სასჯელ. დებულ. მე 1629, 1632, 1634 მუხლების თანახმათ.

ყველა, ვინც კი იცის სად ცხოვრობს აგირბა, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს. დაწესებულებანი, რომელთა უწყებაში აღმოჩნდება მისი ქონება ვალდებული არიან დაუყონებლივ გადასცენ იგი საოპეკუნო სამმართველოში.
1312 1—1

სისხლ. სამ. საქმ წარმ. მე—846, 847, 848, და 851 მუხლ. თანახმათ სოხუმის ოლქის სასამართლოს დადგენილებით, ეძებენ იოსებ დოლბაძეს, რომელსაც ბრალი ედება სასჯელთა დებულების მე—1630 და 1632 მუხლ. თანახმათ. ყველა, ვინც კი იცის სად ცხოვრობს დოლბაძე ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს. დაწესებულებანი, რომელთა განკარგულებაში აღმოჩნდება მისი ქონება ვალდებული არიან დაუყონებლივ შეიტანონ იგი საოპეკუნო სამართველოში.
1315 1—1

ალექსანდრე გიორგის ძე ლიჩელი აცხადებს, რომ მან დაკარგა საფულე, რომელშიდაც იყო: 1) პასპორტი, მიღებული სოფ. მეჯვრის საზოგად. კომისარიატიდგან, სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა, სახელმწიფო ლატარიის ბილეთების ნომრები, ვერცხლი რვა მისხალი (ქამრის) სამი თითო მანეთიანი და ბონები თექვსმეტი თუმნის.

მპოვნელს სთხოვენ საჭირო დოკუმენტები გაუგზავნოს პატრონს შემდეგი მისამართით: მესამე უბანი შვინდის ქუჩა № 4 ალ. ლიჩელს, ფული და ვერცხლი კი დაიტოვოს თავის სასარგებლოთ.
1158 3—1

სისხლ. სამ. საქმ. წარმ. მე—846, 847, 848, და 851 მუხლ. თანახმათ სოხუმის ოლქის სასამართლოს დადგენილებით ეძებენ გნაბაკა წკოლიას, რომელსაც ბრალი ედება სასჯელთა დებულების მე—1453 მუხლის თანახმათ.

ყველა, ვინც კი იცის სად ცხოვრობს წკოლია, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს დაწესებულებანი, რომელთა განკარგულებაში აღმოჩნდება მისი ქონება ვალდებული არიან დაუყონებლივ შეიტანონ იგი საოპეკუნო სამართველოში.
1314 1—1

ნინო ლევანის ასული [illegible] აცხადებს, რომ მან დაჰკარგა [illegible] მიღებული ქუთ. წმ. ნინოს სასწავლებლიდან 1908 წელს დიპლომი, რაც გაუქმებულათ ჩაითვალოს.
1170 3—2

არტემ არტემის ძე აივაზოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ტფილისიდგან კავკავში ღვინის გატანის ნებართვა, აღებული ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწვ. სამინისტროდან 1918 წელს 16 მარიამობისთვის. ნებართვა გაუქმებულათ ჩაითვალოს.
1168 3—2

პეტრე პავლეს ძე ხმალაძე აცხადებს, რომ მას ჯიბიდან ამოართვეს საფულე, რომელშიც იყო 3000 მ. და შემდეგი საბუთები: 1. პირადობის მოწმობა, მიღებული ტფილისის მილიციის უფროსისგან. 2. სამხედრო ბეგრის მოხდის მოწმობა, მიღებული ტფ. სამხედრო უფროსისგან. 3. შინაური პირობა ი. ვ. და პ. ხმალაძეების შედგენილი 1918 წ. მარტის 27-ს და სხვ. ზემოხსენებული საბუთები გაუქმებულათ ითვლება.
1174 3—2

ერვან ალექსანდრეს ძე სერვიკიანცი აცხადებს, რომ მან დაკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა № 33.896 რაც გაუქმებულათ ჩაითვალოს.
1152 3—3

სოფია გიორგის ასული აბდალაძე აცხადებს, რომ მან დაკარგა ტფილისის ქალთა ინსტიტუტის რვა კლასის გათავების მოწმობა, რაც გაუქმებულათ ჩაითვალოს.
1151 3—3

დაკარგლლია ტფილისის 1 კერძო ლომბარდის ბილეთი № 78590, 50 მანეთის ღირებულებისა და ივანოვის გამსესხებელ გამნაღდებელი კასის ბილეთი №№ 351, 499, 100 მან. და 150 მან. ღირებულისა.

ბილეთები გაუქმებულად ჩაითვალოს.
1138 3—3

სისხლ. სამ. საქმ. წარმ, მე-846, 847, 848 და 851 მუხლ, თანახმათ, სოხუმის ოლქის სასამართლოს დადგენილებით ეძებენ სარქის ოვანესის ძე ჩაქირიანცს, რომელსაც ბრალი ედება 9 და 3 მე-1453 და 91459 მუხლ. თანახმათ. დაკარგული 22 წლისაა. ყველა, ვინც კი იცის სად ცხოვრობს ჩაქირიანცი, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს. დაწესებულებანი, რომელთა განკარგულებაში აღმოჩნდება მისი ქონება ვალდებული არიან დაუყონებლივ შეიტანონ იგი საოპეკუნო სამმართველოში.
1313 3—3

# ტფილისის ქალთა წმ. ნინოს სახელობის მე-7-დე გიმნაზიაში

(გაერთიანებულ ქალთა მე 7-დე და წმ. ნინოს გიმნაზიები) მისაღები და ხელმეორე გამოცდები დაიწყება ენკენისთვის 8-დან; სწავლა ენკენისთვის 15-დან.

თხოვნების მიღება სწარმოებს ყოველ დღე (გარდა კვირა უქმეებისა) დილის 10—2 საათამდის.

მისამართი: ერმოლოვის ქუჩა № 13 ყოფილი წმ. ნინოს გიმნაზიის შენობა.
1179 2—1

# ქალ-ვაჟთა რვა კლასიანი გიმნაზია

**ი. მ. მაჩაიძისა, ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 22.**

(შენობა ყოფილ სასულიერო სასწავლებლისა) მისაღები გამოცდები 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8 კლასებში დანიშნულია ყოველ ორშაბათობით 20 სექტემბრამდე. მოსამზადებელ კლასებში ყმაწვილები მიიღებიან გამოუცდელად.

# მოითხოვეთ და იხმარეთ შეშის მაგიერ ქვა-ნახშირი

ქვა-ნახშირს ორჯელ მეტი სითბო აქვს ვინემ საუკეთესო შეშას, იაფათ ჯდება, იწვება სოველგვარ ქვემო საბერვიან გერმეტიულ ფეჩებში და სამზარეულო პლიტებში. საგრძნობელ ეკონომიას წარმოადგენს კერძო ოჯახებისათვის, ხოლო განსაკუთრებულს სასწავლებლებისათვის, სასტუმროებისათვის, რესტორანებისათვის და სხვა და სხვა სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებებისათვის. აგრეთვე გვაქვს სამჭედლოებისათვის **საგანგებოთ დამზადებული ნახშირი და დიდძალი კირი**, საუკეთესო ხარისხის და ხელმისაწვდომ ფასებში. საწყობები გვაქვს ბათუმში, ფოთში, სამტრედიაში, ქუთაისში, გორში, ტფილისში, ერევანში, ბაქოში და სხვა ქალაქებში. დაკვეთა შეიძლება დიდ პარტიობით და წვრილ წვრილადაც. ყოველგვარ ცნობების და შეკითხვის მისამართი: ტფილისში, გრიბოედოვის ქ. № 6. ტელ. № 11—45.

15—4 1140 „ტყიბულის ქვანახშირის გამსაღებელი **მთავარი საგენტო**.